საქართველოს მთავრობის განკარგულება

№1264 2016 წლის 1 ივლისი ქ. თბილისი

შპს „ფშავი ჰიდროსათვის“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების აღნაგობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ

1. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მიეცეს თანხმობა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს, რომ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, ამ განკარგულების დანართში მითითებული უძრავი ქონება შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 49 (ორმოცდაცხრა) წლის ვადით, სასყიდლიანი აღნაგობის უფლებით, წლიურ სარგებლობაში გადაცემის საფასურად - 709 (შვიდას ცხრა) ლარად, გადასცეს შპს „ფშავი ჰიდროს“ (ს/კ: №405026234).

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონების აღნაგობის უფლებით გადაცემის პირობად განისაზღვროს საქართველოს მთავრობასა და შპს „ფშავი ჰიდროს“ შორის 2015 წლის 16 ნოემბერს გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმის თანახმად „სკურდიდი ჰესის“ აშენება და ექსპლუატაციაში მიღება, ამავე მემორანდუმით გათვალისწინებულ ვადებში.

3. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ, ამ განკარგულების შესრულების მიზნით, უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი

#	ნაკვეთის კოდი	მისამართი	ქონების აღწერა
1	22.33.08.044	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი სკურდიდი	1165 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი
2	22.33.08.045	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი სკურდიდი	597 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი
3	22.33.08.046	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი სკურდიდი	39 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი
4	22.33.08.047	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი სკურდიდი	1631 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი
5	22.33.08.048	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი სკურდიდი	7344 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი

სულ: 10 776 კვ.მ.